

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რ.სკამკოჩაიშვილის
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი

2019წელი, 21 თებერვალი

სოფელი დვაბზუ

15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დ. დარჩია -საკრებულოს თავმჯდომარე .

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ტ.აროშიძე.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს. აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ რ.სკამკოჩაიშვილი არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა რ.სკამკოჩაიშვილმა საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში. ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე. ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სოფლების შიდა გზების რეაბილიტაცია, წყალსადენით უზრუნველყოფა, რომელსაც მოითხოვენ ამომრჩევლები.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ რ.სკამკოჩაიშვილი არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას. კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ, ტ.აროშიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მისი აზრი გაიზიარეს ამომრჩევლებმა, კოლეგებმა.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. (დანართი: ანგარიში თან ერთვის 2 ფურცლად)

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო